ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

ამერიკისმცოდნეობის XVII საერთაშორისო კონფერენცია

სამედიცინო დაზღვევის რეფორმა აშშ-ში: პრობლემები და პერსპექტივები

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ანოტაცია

2014 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა ბარაკ ობამას მიერ ინიცირებული ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი - სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა. ამიერიდან, ყველა დაუზღვეველმა ამერიკელმა უნდა შეიძინოს სამედიცინო დაზღვევის პოლისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან.

5 წელზე მეტი დრო გავიდა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა კანონი ჯანმრთელობის დაზღვევის რეფორმირების შესახებ. ბარაკ ობამას რეფორმის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჯანმრთელობის დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის გაფართოება და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

2010 წლის მარტში მიღებულ იქნა კანონის პაციენტების დაცვის და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის შესახებ (Patient Protection and Affordable Care Act – ACA), კონგრესში რესპუბლიკური პარტიის მიერ წარმოებული ხანგრძლივი დებატების და წინააღმდეგობის შემდეგ. აღნიშნული კანონი წარმოადგენს ჯანდაცვის რეფორმირების უმნიშვნელოვანეს ეტაპს, გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, როდესაც შეიქმნა ღარიბი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები - Medicaid და Medicare.

განვითარებულ ქვეყნებს შორის ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას, სადაც არასოდეს არ არსებობდა საყოველთაო, სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევა. მოსახლეობის უმრავლესობა დაზღვეული იყო კერძო ჯანმრთელობის დაზღვევით და მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ადამიანებზე ვრცელდებოდა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამები (ღარიბები და პენსიონერები).

რეფორმას არაერთგვაროვანი შეფასება მიეცა აშშ საზოგადოებაში. მას მხარს უჭერდნენ დემოკრატები, ხოლო რესპუბლიკელები წინააღმდეგ წავიდნენ. რესპუბლიკელთა აზრით, რეფორმა გახდებოდა მხოლოდ დამატებითი გადასახადი ფიზიკური პირების და ბიზნესის მხრიდან, და კიდევ უფრო გაზრდიდა სადაზღვევო ღირებულებას და სახელმწიფო ხარჯებს. ამასთან, მთავარი პრობლემა - ჯანდაცვის მაღალი დანახარჯები და სიძვირე - ვერ გადაწყდებოდა.

ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ბარაკ ობამას მიერ ინიცირებული ჯანდაცვის რეფორმების მიმართ ამერიკელების შეხედულებები თითქმის თანაბრად გაიყო. დაბალშემოსავლიანმა მოქალაქეებმა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ძირითადად მხარი დაუჭირეს, ხოლო შედარებით მდიდარმა ფენებმა წინააღმდეგობა გაუწიეს.

ჯერჯერობით ნაადრევია რეფორმის საბოლოო შეფასების მიცემა. თუმცა, უკვე ნათელია, რომ რეფორმის შედეგად სამედიცინო ხარჯები (როგორც მოქალაქეების, ასევე ფირმებისათვის, რომლებმაც იყიდეს კერძო დაზღვევა და სახელმწიფოსათვის, რომელმაც გააფართოვა ჯანდაცვის პროგრამები) მხოლოდ გაიზარდა. როგორც ჩანს, უახლოეს წლებში ხარჯები კიდევ უფრო გაიზრდება.

Health Insurance Reform in the United States: Problems and Prospects

Tengiz Verulava

MD. PhD. Professor at Ilia State University
Head of Quality Management Department, G.Chapidze Emergency Cardiology Center

Annotation

On April 1, 2014 came into effect one of the key elements of health care reform, initiated by Barack Obama - compulsory health insurance for individuals. From now on, all uninsured Americans must purchase a medical insurance policy under the threat of fines from the state.

It has been over 4 years since, both in the United States passed a law on the reform of the health insurance. Since the reform continually stalled, encountering opposition resistance, technical difficulties, trials and lack of understanding on the part of a significant part of American society.

The main objective of the reform of Barack Obama was the expansion of coverage of the population with health insurance, as well as improving access to health services.

The law on the protection of patients and access to health care (Patient Protection and Affordable Care Act - ACA) 3 was adopted in March 2010, after a long debate in Congress due to the resistance of the Republican opposition. He is known by the official abbreviation ACA and unofficial - Obamacare, which was widely circulated in the media. This law marks a serious health care reform, in fact the first since the 60s. the last century, when public health programs have been created for the poor and pensioners - Medicaid and Medicare.

Among the developed countries, the United States of the world - the only one which never existed mandatory health insurance and public health. Most of the population uses the services of private health insurance. Contrary to popular opinion in the United States is quite active and valid public health in the form of medical programs, but it is selective in nature and applies only to certain categories of mostly senior citizens (on which propagates the state Medicare program) and the poor (the Medicaid program).

Reform has received very mixed assessment in US society. Democrats generally supported it, while Republicans spoke strongly against. In their view, such a re form will only be an additional tax for individuals and businesses, and will further increase the cost of insurance and public expenditures. In this case the main problem - the high cost of medicine - is resolved.

These polls show that Americans in 2011-2012. divided almost equally on the question of the attitude towards health care reform initiated by Barack Obama. Low-income citizens and ethnic minorities generally supported it, while the wealthier segments of the population opposed.

Giving a final assessment of the reform is too early. However, already in 2013 it became clear that the medical costs (both from citizens and companies buying private insurance, and for the state, expanding health programs) only increased during the reform. It seems that in the coming years they will grow even more.